

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი  
საფეხური: საბაკალავრო

პროგრამები: გრაფიკის ხელოვნება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)  
და გამოყენებითი ხელოვნება - მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისათვის (ძირითადი  
და დამატებითი სპეციალობა)

### პროგრამებზე მიღების მოთხოვნები და შეფასების სისტემა

#### შიდასაუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტური.

ტურის ფარგლებში, წარმოდგენილ პორტფოლიოს საფუძველზე, მოწმდება კონკურსანტის კომპოზიციური აზროვნებისა და სხვადასხვა სამხატვრო მასალის გამოყენებით იდეის გადმოცემის უნარი.

პორტფოლიოში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ნამუშევრები:

1. შავ-თეთრი ჩანახატები (მასალა-ფანქარი, ტუში, შავი ფლომასტერი და სხვა); მინიმუმ 5 - მაქსიმუმ 10 ჩანახატი;
2. ფერში შესრულებული ჩანახატები (მასალა-აკვარელი, ტემპერა, გუაში, ფერადი ფანქარი, შერეული ტექნიკა და სხვა); მინიმუმ 5 - მაქსიმუმ 10 ჩანახატი;
3. შავ-თეთრი გრაფიკული კომპოზიცია თავისუფალ თემაზე (მასალა-ფანქარი, ტუში, შავი ფლომასტერი და სხვა). მინ. 2 კომპოზიცია;
4. ფერში შესრულებული კომპოზიცია თავისუფალ თემაზე (მასალა - აკვარელი, ტემპერა, გუაში, ფერადი ფანქარი, შერეული ტექნიკა და სხვა). მინ. 2 კომპოზიცია;

პორტფოლიოს აფასებს დარგობრივი კომისია. შეფასების კრიტერიუმებია:

1. კომპოზიციურობის შეგრძნების უნარი – 30 ქულა
2. სახატავი მასალების გამომსახველობითი თვისებების გამოყენების უნარი სასურველი იდეის გადმოსაცემად – 20 ქულა
3. ფერწერული მასალების გამომსახველობითი თვისებების გამოყენების უნარი სასურველი იდეის გადმოსაცემად – 20 ქულა
4. ფორმისა და ფერითი გადაწყვეტის გადმოცემის უნარი – 30 ქულა

კონკურსანტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. გამოცდაზე 51-ზე დაბალი ქულის მიღების შემთხვევაში, კონკურენტი გამოირიცხება ჩასარიცხ კანდიდატთა სიიდან.

		ქულა	მაქს. ქულა
<b>1</b>	<b>კომპოზიციურობის შეგრძნების უნარი</b>		<b>30</b>
	<i>კომპოზიცია გამართულობა</i>		<b>15</b>
	კომპოზიცია გამართულია, გამოსახულება სწორად არის განაწილებული სასურათე სიბრტყეზე		15
	კომპოზიცია ნაკლებად გამართულია, გამოსახულების განაწილება სასურათე სიბრტყეზე საჭიროებს მცირედ კორექტირებას		10
	კომპოზიცია გაუმართავია, გამოსახულების განაწილება სასურათე სიბრტყეზე საჭიროებს კორექტირებას		5
	<i>კომპოზიციის ორიგინალურობა</i>		<b>15</b>
	კომპოზიციში ჩანს ორიგინალური ხედვა		15
	კომპოზიცია მეტ-ნაკლებად ორიგინალურია		10
	კომპოზიცია ნაკლებად ორიგინალურია		5
	კომპოპოზიცია არ არის წარმოდგენილი		0
<b>2</b>	<b>სახატავი მასალების გამომსახველობითი თვისებების გამოყენების უნარი სასურველი იდეის გადმოსაცემად</b>		<b>20</b>
	<i>სახატავი მასალების გამოყენების უნარი</i>		<b>10</b>
	სასურველი იდეის გადმოსაცემად კარგად არის გამოყენებული სახატავი მასალების გამომსახველობითი თვისებები		10
	სასურველი იდეის გადმოსაცემად არასათანადოდ არის გამოყენებული სახატავი მასალების გამომსახველობითი თვისებები		5
	<i>სახატავი მასალების ექსპერიმენტულად გამოყენების უნარი</i>		<b>10</b>
	სასურველი იდეის გადმოსაცემად სახატავი მასალების გამომსახველობითი თვისებები ექსპერიმენტულად არის გამოყენებული		10
	სასურველი იდეის გადმოსაცემად სახატავი მასალების გამომსახველობითი თვისებები ნაკლებად ექსპერიმენტულად არის გამოყენებული		5
	ნამუშევარი არ არის წარმოდგენილი		0
<b>3</b>	<b>ფერწერული მასალების გამომსახველობითი თვისებების გამოყენების უნარი სასურველი იდეის გადმოსაცემად</b>		<b>20</b>
	<i>ფერწერული მასალების გამოყენების უნარი</i>		<b>10</b>
	სასურველი იდეის გადმოსაცემად კარგად არის გამოყენებული ფერწერული მასალების გამომსახველობითი თვისებები		10
	სასურველი იდეის გადმოსაცემად არასათანადოდ არის გამოყენებული ფერწერული მასალების გამომსახველობითი თვისებები		5
	<i>ფერწერული მასალების ექსპერიმენტულად გამოყენების უნარი</i>		<b>10</b>

	სასურველი იდეის გადმოსაცემად ფერწერული მასალების გამომსახველობითი თვისებები ექსპერიმენტულად არის გამოყენებული		10
	სასურველი იდეის გადმოსაცემად ფერწერული მასალების გამომსახველობითი თვისებები ნაკლებად ექსპერიმენტულად არის გამოყენებული		5
	ნამუშევარი არ არის წარმოდგენილი		0
<b>4</b>	<b>ფორმის, პლასტიკისა და მოცულობის გადმოცემის უნარი</b>		<b>30</b>
	<i>ფორმის, პლასტიკისა და მოცულობის გადმოცემის უნარი სახატავი მასალებით</i>		<b>15</b>
	სახატავი მასალებით გამოსახულების ფორმა, პლასტიკა და მოცულობა კარგად არის გადმოცემული		<b>15</b>
	სახატავი მასალებით გამოსახულების ფორმა, პლასტიკა და მოცულობა ხარვეზებით არის გადმოცემული		10
	სახატავი მასალებით გამოსახულების ფორმა, პლასტიკა და მოცულობა სათანადოდ არის გადმოცემული		5
	ნამუშევარი არ არის წარმოდგენილი		0
	<i>ფორმის, პლასტიკისა და მოცულობის გადმოცემის უნარი ფერწერული მასალებით</i>		<b>15</b>
	ფერწერული მასალებით გამოსახულების ფორმა, პლასტიკა და მოცულობა კარგად არის გადმოცემული		<b>15</b>
	ფერწერული მასალებით გამოსახულების ფორმა, პლასტიკა და მოცულობა ხარვეზებით არის გადმოცემული		10
	ფერწერული მასალებით გამოსახულების ფორმა, პლასტიკა და მოცულობა სათანადოდ არის გადმოცემული		5
	ნამუშევარი არ არის წარმოდგენილი		0
	<b>სულ</b>		<b>100</b>